



საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 1 18 00000404

30/05/2018

**აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღები პირების მიერ, კანდიდატთა შერჩევის კომისიისათვის
წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 18 მაისის N47 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო სარეზერვო სამსახურის აქტიურ რეზერვში მისაღები პირთა შერჩევის წესის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული „აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღები პირების მიერ, კანდიდატთა შერჩევის კომისიისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა“.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მინისტრი
ლევან იზორია

აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღები პირების მიერ, კანდიდატთა შერჩევის
კომისიისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

1. ნამსახურობის ნუსხა (გაიცემა სამხედრო განყოფილებაში);
2. გასაწვევი პირის განცხადება;
3. ანკეტა (შეივსება სამხედრო განყოფილებაში);
4. ავტობიოგრაფია (ხელნაწერი და დაბეჭდილი);
5. დაბადების მოწმობის ასლი;
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;
8. ქორწინების (განქორწინების) მოწმობის ასლი;
9. შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობის ასლი;
10. ოჯახის წევრების პირადობის მოწმობის ასლები;
11. მართვის მოწმობის ასლი;
12. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (გაცემული სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის მიერ);
13. ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
14. ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
15. ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან (სახელმწიფო გასაცემლების შესახებ);
16. შრომის წიგნაკის ასლი;
17. მიღებული სერტიფიკატ(ებ)ის ასლი;
18. სამხედრო ბილეთის ასლი ან წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი;
19. ფოტოსურათი 4 ცალი 3X4 (ფერადი) და ელექტრონული ვერსია (CD);
20. ფორმა N100.

შენიშვნა: მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-16 და მე-17 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს არსებობის შემთხვევაში.